გამარჯვება, მხოლოდ გამარჯვება!

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 3 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (მინსკი) 3:1 (1:0).

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, დათუნაშვილი, ბარქაია, მეტრეველი (აფშევი), მესხი.

მინსკი: დენისენკო, რიომინი, ზარემბო (მოზერი), კუპჩიკი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, კონოვალოვი, ადამოვი, მუსტიგინი, მალაფეევი, პოგალნიკოვი.

მსაჯი: ა. ზვერევი (ლენინგრადი).

თბილისელებმა მეტისმეტი სიდინჯით, აკადემიურად დაიწყეს თამაში. არ იყო ტემპი, მარცხენა ფრთაზე კარგა ხანს თამაშს გამორთული აღმოჩნდა მესხი და საერთოდ, გუნდმა ბევრი დრო დაკარგა მოწინააღმდეგის სუსტი ადგილების თვალიერებაში. ერთადერთი კარგი, სწრაფი კომბინაცია გათამაშდა მე-10 წუთზე ბ. სიჭინავას, ბარქაიას, გ. სიჭინავასი და მეტრეველის მონაწილეობით და მაშინაც კარში გადამწყვეტი დარტყმა უზუსტო გამოდგა.

სტუმრებს, ეტყობა, ხელს აძლევდა პოზიციური ბრძოლა, ამიტომ მათ მიიღეს ეს ნელი ტემპი, მაგრამ მათი მხრივ საბოლოო დარტყმისათვის კარის სიახლოვეს გადიოდა არა რომელიმე ფორვარდი, არამედ ნახევარმცველი კონოვალოვი, რომელმაც შორი დისტანციიდან რამდენიმეჯერ ამაოდ სცადა ბურთის მიზანში გაგზავნა.

თბილისელთა ეს თავისებური “გულგრილობა” გაგრძელდა ტაიმის ბოლომდე. აქ კი საკმარისი აღმოჩნდა თავდასხმის სრული ძალით ამოქმედება და ანგარიშიც გაიხსნა: მეტრეველის ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს და უკუგდებული მესხმა ძალზე ზუსტად გაგზავნა დაბალ კუთხეში - 1:0.

მასპინძლები კიდევ უფრო დაწინაურდნენ 51-ე წუთზე, როცა მესხის გადაცემას ერთდროულად მიუსწრეს მინსკელმა მცველმა სავოსტიკოვმა და დათუნაშვილმა. ანგარიში გახდა 2:0.

გამარჯვება თითქმის უკვე გარანტირებული იყო, როცა თბილისელთა დაცვაში დაშვებული შეცდომა კარგად გამოიყენა მალაფეევმა. მან ახლო მანძილიდან გაიტანა საპასუხო გოლი - 1:2.

მდგომარეობა გართულდა. ამ ვითარებაში საუკეთესოდ ითამაშა მესხმა. მისი ძლიერი დარტყმა გაჭირვებით მოიგერია დენისენკომ. მაგრამ დათუნაშვილმა სწორად შეარჩია ადგილი და წერტილი დაუსვა თავისი კოლექტივის გამარჯვებას - 3:1. ჩვენმა გუნდმა მორიგი გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

თბილისელებმა მოიგეს დუბლიორთა მატჩიც - 3:0. აღსანიშნავია, რომ სამივე ბურთი თავით გაიტანა მაისურაძემ. ახლა თბილისელთათვის საკმარისია ბოლო შეხვედრის ფრედ დამთავრება და ისინი I ადგილს დაისაკუთრებენ.

ჯ. ვაჩიბერიძე.

“ლელო”, 4 ნოემბერი, 1964 წ.